# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მენეჯერის მოკლე ინფორმაცია 2017 წლის მუშაობის შესახებ

# დასახული მიზანი

- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის, როგორც მძლავრი, სასწავლო სამეცნიერო ცენტრად ჩამოყალიბებაში აქტიური მონაწილეობა;

- ფაკულტეტზე მომუშავე პერსონალის ეკონომიკური და ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა;

- ფაკულტეტზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებით, სახსრების მოზიდვის ეფექტური სისტემის შექმნით, ბიუჯეტის გაზრდის უზრუნველყოფა.

# მიზნის მიღწევის გზები

- სწავლის  ხარისხის გაუმჯობესებისათვის ხორციელდება შრომის ბაზრის მარკეტინგული კვლევა; დგინდება  აკრედიტაციაზე წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამებისადმი მოთხოვნათა ნუსხა;

- მაპროფილებელ საწარმოებში ჩატარებული გამოკითხვების  და მარკეტინგული კვლევების შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა დამსაქმებელთა ძირითადი მოთხოვნები ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა მიმართ:
  - სათანადო  დონეზე საინჟინრო  განათლების და შესაბამისი საინჟინრო უნარჩვევების ფლობა;
  - უცხო ენებზე კომუნიკაციის უნარი;

❑შეჯერებული იქნა დამსაქმებელთა მიერ გამოთქმული სურვილები და რეკომენდაციები სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით:

- ლაბორატორიულ- პრაქტიკული სწავლების ფორმის გამიერება;
- არსებული ლაბორატორიული ბაზის მოდერნიზაცია; მაპროფილებელ საწარმოებთან ურთიერთანა- მშრომლობის ფორმების დახვეწა;

❑დაგეგმილია ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შემდგომ საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ წარდგენილი მოთხოვნათა ნუსხის დაზუსტება ფაკულტეტის სტრუქტურის დახვეწა და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა.

# ფაკულტეტის სასწავლო- სამეცნიერო საქმიანობის ფინანსურ და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის ზედამხედველობა.
# 2013 წელი - ფაკულტეტის რეალური მდგომარეობა

- სავალალო მდგომარეობაშია ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა; გაურემონტებელია ყველა აუდიტორია და სასწავლო ლაბორატორია;
- ფაკულტეტის შენობა არ თბება; ზამთრის პერიოდში სასწავლო პროცესის ჩატარება გაძნელებულია;
- ფაკულტეტზე სასწავლო - სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა ხორციელდება არასათანადო დონეზე.


HDV















**2013- 2017 წწ დაიგეგმა და განხორციელდა სასწავლო აუდიტორიებისა და კაბინეტ - ლაბორატორიების განახლებისა და სათანადო აღჭურვის სამუშაოები**

- **განვლილ პერიოდში გარემონტდა :**

- 4723 კვადრატული მეტრი საფაკულტეტო ფართი;

- დაიგო 1191 $მ^2$ ფართზე კერამიკის და მოზაიკის ფილები;

- გარემონტდა  42 სალექციო აუდიტორია და მათ შორის 100 კაცზე მეტი ტევადობის 8 ოთახი, სადაც დაიგო 1413 მ$^2$ ლამინატი;

- შეიცვალა ძველი 305 ხის ფანჯარა და დამონტაჟდა ახალი მეტალოპლასმასის ფანჯარა - საერთო ფართით 1330 მ$^2$;

-შეიცვალა განათების სისტემა, დამონტაჟდა 178 ახალი განათების მოწყობილობა;

❑25 წლის შემდეგ რექტორატის ძალისხმევით სრულად განხორციელდა ფაკულტეტის 15 000 მ$^2$  ფართის გათბობისს პრობლემა.

































- **2013-2017 წწ** სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გაიხარჯა **566 585** ლარი.

  - 2013-წელს- 120 639 ლარი;

  - 2014 წელს- 69 583 ლარი;

  -2015 წელს- 237 545 ლარი;

  - 2016 წელს - 138 818 ლარი.

❑ **განვლილ პერიოდში განხორციელდა სასწავლო ლაბორატორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვა;**

❑ სრულად აღიჭურვა საფაკულტეტო 5 კომპიუტერული კლასი. ყველა სტუდენტს და პედაგოგს მიეცა საშუალება ჰქონოდა წვდომა ინტერნეტთან;

• შეძენილი იქნა:

- პერსონალური კომპიუტერი - 89 ცალი;

- ნოუთბუქი - 28 ცალი;

- პროექტორი - 52 ცალი;

- ეკრანი - 25 ცალი;

- კონდინციონერი - 20 ცალი.









# საუდიტორო სწავლებიდან ლაბორატორიულ პრაქტიკულ სწავლებაზე გადასვლა

- მატერიალურ- ტექნიკური ბაზის აღჭურვისათვის ყოველწლიურად ფაკულტეტის ბიუჯეტში იდება არანაკლებ 500 ათასი ლარი;

- ლაბორატორიული ბაზის გაუმჯობესებისათვის შეძენილ იქნა:

- მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის დეპარტამენტისათვის პროგრამული მართვის საფრეზი, სახარატო ხრახნმჭრელი, საფრეზ-საბურღი და უნივერსალური ასალესი ჩარხი. სულ შეძენილი იქნა 7 ერთეული გერმანული წარმოების ჩარხები;

- საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი დამატებით აღიჭურვა ავტომობილის სადიაგნოსტიკო სტენდით. შეძენილი იქნა BMW ძრავი და ავტომობილი ფოლცვაგენი;

- კვების ინდუსტრიის დეპარტამენტი აღიჭურვა მაცივარმანქანაის დიაგნოსტიკის თანამედროვე ლაბორატორიული სტენდით, რომელზეც შესაძლებელია კომპრესორის თბური გაანგარიშების კვლევა;

-სტუდენტებს მიეცათ საშუალება კვების პროდუქტების დოზირების, შერევის, ჩამოსხმის და დახუფვის ოპტიმალური პარამეტრების დადგენა განახორციელონ თანამედროვე ლაბორატორიულ სტენდებზე;

-საქართველოს რკინიგზის მიერ საჩუქრად გადმოგვეცა რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მართვის ლაბორატორია – სტენდი;

-პროფესიული სწავლების დონის ასამაღლებლად ფაკულტეტის დეპარტამენტები აღიჭურვა ტიპოგრაფიული ბეჭდვითი პროცესების და სამკერვალო ნაწარმის ლაბორატორიებით;

- შეძენილი იქნა კომპიუტერული პროგრამები, როგორიცაა:

- Autokad Factozydesing Uilimate;

- Gatia V 6 R 2013;

- Matlab 2014;

-ხე-ტყის გადამამუშავებელი დეპარტამენტისათვის – მონილური გეოინფორმაციული (Gis) სისტემების პროგრამული პროდუქტი;

- საავტომობილო დეპარტამენტისათვის საავტომობილო გამონაბოლქვის განსაზღვრის GiROS -ის პროგრამა;

ფაკულტეტი დღეისათვის გამოიყურება შემდეგნაირად:














DELTA
POWER
RUN
ERROR
IN
OUT











- უნდა აღინიშნოს, რომ შეძენილი ტექნოლოგიური მოწყობილობების დიდი ნაწილი არ არის ჩართული სასწავლო პროცესში;

- მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის გასაძლიერებლად ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია მხოლოდ იმ მოწყობილობე-ბის შეძენა, რომელთა აუცილებლობა განპირობე-ბულია აკრედიტაციაზე წარსადგენი საგან-მანათლებლო პროგრამებიდან და ვიზირებულია ფაკულტეტის ხარისხის მართვის  სამსახურის ხელმძღვანელის მიერ;

# კომუნალური გადასახადების ოპტიმიზაცია
# წყლის ხარჯი

- დაპროექტებული და გაყვანილი იქნა ფაკულტეტის 24 საათიან რეჟიმში წყლით მომარაგების ახალი დამოუკიდებელი სისტემა;

- მოწესრიგდა სველი წერტილები; 10 ტუალეტში 38 სველ წერტილზე დამონტაჟდა წყლის ხარჯის უკონტაქტო სისტემა, რამაც საშუალება მოგვცა წყლის 24 საათიანი მომარაგების პირობებში დაგვეზოგა 2017 წელს 2013 წელთან შედარებით 24 680 ტონა წყალი და მიგვეღო წლიური ეკონომია 108 590 ლარის ოდენობით;

- მოეწყო ფიზიკურად შეზღუდული სტუდენტებისათვის ინკლუზიური ტუალეტი.

# ბუნებრივი აირის ხარჯი

- ფაკულტეტზე 1330 მ$^2$ ფართობის 305 ცალი ფანჯრების შეცვლამ საშუალება მოგვცა შეგვემცირებინა 2017 წელს შენობის გათბობაზე დახარჯული ბუნებრივი აირის ღირებულება 80 537 ლარიდან 65 470 ლარამდე ანუ – 19 % -ით.

# ელექტრო ენერგიის ხარჯი

- ელექტრო ენერგიის მიწოდების სისტემის აღრიცხვის არასრულად მოწესრიგების შემთხვევაშიც შესაძლებელი გახდა 2017 წელს 2013 წელთან შედარებით ელექტროენერგიის ხარჯის შემცირება 90 000 ლარიდან

  35 000 ლარამდე.

**<u>პრობლემა:</u>** მიუხედავად მრავალჯერადი მოთხოვნისა ჯერ კიდევ ფაკულტეტის ელ.ენერგიის ხარჯის ანგარიში არ ხორციელდება გამხოლოებული მრიცხველიდან დღემდე ფაკულტეტი იხდის სხვის დახარჯულ ელენერგიის საფასურს).

# წყლის ხარჯის დინამიკა




| | | | |
|---|---|---|---|
| 28400მ2 | 15070მ2 | 9700მ2 | 3720მ3 |
| 125000 ლარი | 66300ლარი | 42800ლარი | 16370ლარი |

შენიშვნა: 2017 წელს 2013 წელთან შედარებით წყლის ხარჯის ეკონომიამ შეადგინა 108,600 ლარი.




2017 წელს 2013 წელთან შედარებით ელ.ენერგიის ხარჯი შემცირდა 2,7ჯერ = 55000ლარი

# ბიუჯეტის ფორმირება

ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულების, ფინანსური და მატერიალური რესურსების მოზიდვის ყოველწლიური გეგმის ეფექტიანობის მიზნით ხორციელდება შემდეგი სახის სამუშაოები:

- დეკანატის სპეციალისტებთან ერთობლივად სისტემატიურად ხორციელდება მონიტორინგი, სტუდენტთა ინფორმირება სწავლის საფასურის დავალიანების გადახდის კუთხით;

- შემოღებული იქნა და წარმატებით ხორციელდება სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკის დადების წესი- რამაც მოიცვა სტუდენტთა რაოდენობის 20 % -ი. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს უწყობს შემოსავლების სტაბილურობას;

- 2017 წელს ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შერულდა -93,6%. გეგმა - 4 872 933 ლარი ფაქტიური შემოსავალი 01.01.2017 წლის მდგომარეობით - 4 552 200 ლარი;

- იანვრის თვეში ფაკულტეტის შემოსავალმა შეადგინა 378 780 ლარი, რაც სტუ-ში შემოსული თანხის 15%-ია.

❑ შემოსავლების 12% რაც შეადგენს 594 746 ლარს, მიემართება ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯების დასაფარავად;

❑თანამშრომელთა ხელფასის ფონდი შეადგენს 2223500 ლარს, რაც ფაკულტეტის განსაკარგავი თანხის 60%-ია;

❑ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება შეადგენს 529940 ლარს, რაც განსაკარგავი თანხის 14%-ია;

❑ კანონმდებლობით დადგენილმა გადასახდებმა შეადგინა 123405 ლარი, რაც განსაკარგავი თანხის 3 % -ია;

- პროფესორ-მასწავლებელთა მოთხოვნით ბიუჯეტის მივლინებების მუხლში ფაქტიურად გახარჯული იქნა 20 000 ლარი;

- თანამშრომელთა სოციალური დახმარების მუხლში - გათვალისწინებული იყო 15 000 ლარი. ფაქტიურად დაიხარჯა - 12 000 ლარი;

- გათვალისწინებული იქნა პროფესორ-მასწავლებელთა მოთხოვნა და სახელფასო დანამატის  ბონუსის მუხლში ჩაიდო - 60 000 ლარი;

- ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დევნილი ოჯახებიდან 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 10 000 ლარის დაფინანსება;

- ფაკულტეტის ბიუჯეტში საუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად გამოყოფილია - 216 099 ლარი;

- ფაკულტეტის საქმიანობის წარმოჩენის ხელშეწყობის მიზნით ფაკულტეტის მეცნიერების და სტუდენთა მონაწილეობით 2017 წელს ჩატარებული იქნა III საერთაშორისო კონფერენცია, რომლის ნაწილობრივი დაფინანსება განხორციელდა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან;


განათლებული საზოგადოება
ძლიერი ეკონომიკა
განათლებული ახალგაზრდობა - განვითარებული სახელმწიფო
განათლებული საზოგადოება
სამეცნიერო ინოვაციები
ძლიერი ეკონომიკა
აკადემიური თავისუფლება
ViewSonic



- ფაკულტეტთან არსებული ბიბლიოთეკის საცავის შევსებისათვის ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების ამსახველი ნაბეჭდი ელექტრონული  ვიდეო მასალებით, აგრეთვე სასწავლო ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების დაბეჭვდისათვის ფაკულტეტის ბიუჯეტში ყოველწლიურად გათვალისწინებულია შესაბამისი თანხა;

- სტუდენტთა კულტურულ-სპორტული ღონისძიებების განსახორციელებლად ფაკულტეტის ბიუჯეტში ყოველწლიურად გათვალისწინებულია 25 000 ლარის ჩადება;















- აბიტურიენტთა კონტიგენტის მოსაზიდად, მენეჯერის აპარატის მიერ დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მონაწილეობით მომზადდა სარეკლამო რგოლი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი“;

- მენეჯერის აპარატი ორგანიზებას უკეთებს და აქტიურ მონაწილეობას იღებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის პროპაგანდაში. სისტემატიური ხასიათი მიიღო ფაკულტეტის პროფესორ- მასწავლებელთა უშუალო შეხვედრებმა აბიტურიენტებთან რაიონებში;





# სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის და მათი შემდგომი დასაქმების პროცესის კოორდინირება

- გაფორმებულია მემორანდუმები სტარტეგიულ პარტნიორებთან (საბაზო ორგანიზაციებთან) სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკებთან დაკავშირებით;

- საბაზო ორგანიზაციებია: „ელიტა ბურჯი“, „თეგეტა მოტორსი“, „საქართველოს რკინიგზა“, „თბილავიამშენი“,........ ( ყოფილი კიროვის ჩარხმშენებელი ქარხანა); „ზედაზენი“, „თოლია“, „გორის კონცენტრატების ქარხანა“ და სხვა.

- **სისტემატიურ ხასიათს ატარებს ფაკულტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შეხვედრა დამსაქმებლებთან;**

ჩემს გამოსვლაში შევეხე მენეჯერის სამსახურის წინაშე მდგარი ღონისძიებების ზოგიერთ ნაწილს. მიმაჩნია აღნიშნულ სამსახურს დეკანატთან, ხარისხის მართვის სამსახურთან ერთობლივად შეუძლიათ ფაკულტეტის წინაშე დასახული ძირითადი ამოცანის წრამატებით გადაწყვეტა.



# ჩვენ ვხედავთ ჩვენს პრობლემებს, განვლილმა პერიოდმა დაგვანახა:

- სასწავლო პროგრამები საჭიროებენ დახვეწას. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მათ დუბლირებას. ისინი ვერ პასუხობენ დამსაქმებელთა რეალურ მოთხოვნებს, რის გამოც ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს უჭირთ ადაპტირება პროფესიულ გარემოში, ვერ არიან კონკურენტუნარიანნი.

2.– ფაკულტეტს, სადაც თანამშრომელთა ხელფასის ფონდი ( 60 % ) და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება ( 14 %) შეადგენს ფაკულტეტზე განსაკარგავი თანხის 74%-ს;

ფაკულტეტს, სადაც 12 დეპარტამენტიდან 7 დეპარტამენტში თანამშრომელთა წლიური ხელფასის ფონდი აჭარბებს დეპარტამენტში სტუდენტთა სწავლი საფაურის ოდენობას შეუძლებელია მიაღწიოს რაიმე პროგრესს!

აუცილებლობა მოითხოვს დაუყოვნებლივ განხორციელდეს ფაკულტეტის სტრუქტურის დახვეწა;

ფაკულტეტზე შექმნილია 15 ერთეულზე მეტი ბიზნესზე ორიენტირებული თვითდაფინანსე-ბაზე მომუშავე ცენტრები. უკავიათ ფაკულტეტის ფართი, სარგებლობენ ფაკულტეტის ინფრა-სტრუქტურით (ელ.ენერგია,გათბობა,წყალი, ტექნოლოგ. მოწყობილო-ბები), მაგრამ ფაკულტეტის ბიუჯეტის ფორმირებაში არ მონაწილეობენ.დღემდე არავითარი სერიოზული ღონისძიება არ განხორციელებულა არც ფაკულტეტის არც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან პრობლემის მოსაგვარებლად.

არ არის დასამალი, რომ დღემდე არ არსებობს კორდინირებული, შეთანხმებული საქმიანობა უნივერსიტეტის დეპარტამენტებსა და ფაკულტეტის სტრუქტურებს შორის არსებული პრობლემების გადაწყვეტის საკითხებში:

– ფაკულტეტების მენეჯერებს გააჩნიათ უნივერსიტეტის შესაბამის დეპარტამენტებთან ძირითადი სამუშაო მიმართულებების გეგმა.

4. საუნივერსიტეტო სამშენებლო სარემონტო სამუშაოების ტენდერების ჩატარებასთან დაკავშირებით:

– სამშენებლო სარემონტო სამუშაოების ჩატარებულმა ტენდერებმა დაგვანახა, რომ საუნივერსიტეტო დონეზე გამოცხადებულ ტენდერებში ბოლო 4 წლის განმავლობაში გამარჯვებულმა ვერცერთმა სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ შეძლო ყველა ფაკულტეტზე ერთდროულად სარემონტო სამუშაოების სრულად და მაღალ დონეზე შესრულება

– გაურკვეველი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, როდესაც ფაკულტეტებზე ჩატარებულ სარემონტო სამუშაოების მიღებასა და შეფასებაში მონაწილეობაზე უარი ეთქვა ფაკულტეტების ხელმძღვანელობას (დეკანი, მენეჯერი, დეპარტამენტის ხელმძღვანელები);

– დასახვეწია აგრეთე სარემონტო ობიექტების დეფექტური აქტების შედგენის, განხილვის და ტენდერების ჩატარების წესი.

გმადლობთ ყურადღებისათვის!